საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

N გ-20-03/697
27/02/2020

697-გ-20-03-2-202002271625

შპს „გეო ვლანს“

შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2020 წლის 5 მარტს 15:00 საათზე, მისამართზე: 0144 ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. N50/18, გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") სხდომა, სადაც განიხილება შპს „გეო ვლანისთვის" ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი, მის მიერ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" და „ლ" ქვეპუნქტის, „რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ" კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის N12 დადგენილების დარღვევის გამო (საფუძველი: კომისიის ადმინისტრაციის საფინანსო-საბიუჯეტო ჯგუფის მოხსენებითი ბარათი კომისიის ადმინისტრაციის საფინანსო-საბიუჯეტო ჯგუფის სამსახურებრივი ბარათი (N20-10-237, 28/01/2020).

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, უფლება გაქვთ კომისიას წარუდგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

დანართი: კომისიის ადმინისტრაციის საფინანსო-საბიუჯეტო ჯგუფის სამსახურებრივი ბარათი (N20-10-237, 28/01/2020).

ოლია ვოტ

ადმინისტრაციის უფროსი
ადმინისტრაცია

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625 ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge